აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭო

BOARD OF REPRESENTATIVES OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59 ტელ: (+995 431 244778) ფაქსი (+995 331) 24 38 33
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი ელ. ფოსტა atsu@atsu.edu.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკაკი წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება

№ 72

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ.

ქ. ქუთაისი **25 მარტი 2016 წ.**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-13 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დებულება (თან ერთვის).

2. დადგენილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი: **პროფ. სულხან კუპრაშვილი**

დანართი
დამტკიცებულია:
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 25 მარტის N 72 დადგენილებით

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები
1.სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი (შემდგომში ცენტრი) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს;

2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით და წინამდებარე დებულებით.
3. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ, რექტორის მიერ დაკისრებულ მოვალეობებს.
მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის სფერო და ძირითადი ფუნქციები

1. ცენტრი ხელმძღვანელობს და ახორციელებს უნივერსიტეტში კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სფეროსთან დაკავშირებულ საუნივერსიტეტო საქმიანობას;
2. ცენტრის ფუნქციები და ამოცანებია:

   ა) უნივერსიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი, სასწავლო-სახელოვნებო მრავალსპექტრიანი საქმიანობა, საუნივერსიტეტო შემოქმედებითი მოღვაწეობის პოპულარიზაცია და ამასთან დაკავშირებული განვითარების ერთიანი კულტურული პოლიტიკის შემუშავება;

   ბ) სტუდენტებისა და პერსონალის შემოქმედებით საქმიანობაში ჩაბმაზე ზრუნვა, მათი ნიჭისა და სურვილის გათვალისწინებით;

   გ) თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება, უნივერსიტეტის სტუდენტების ჰარმონიული განვითარებისა და სახელოვნებო სივრცეში მოზიდვის მიზნით;

   დ) უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში;

   ე) საქართველოში ხალხური ფოლკლორის შენარჩუნებაზე, განმტკიცებასა და პოპულარიზაციაზე ზრუნვა;

ვ) საუნივერსიტეტო სპორტის განვითარება, სპორტის პოპულარიზაცია, სპორტული ღონისძიებების, უნივერსიადების ორგანიზება სტუდენტ-ახალგაზრდობასა და თანამშრომლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად;
ზ) სპორტულ ღონისძიებებში სტუდენტ-სპორტსმენთა მოზიდვა და ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენა, მათთვის ხელშეწყობა მსოფლიო და ქვეყნის მასშტაბით უნივერსიადებში მონაწილეობის მისაღებად უნივერსიტეტის სახელით;
თ) გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებების მომზადება, სპორტული ბაზებისა და ინვენტარის მოწესრიგება;
კ) წარმატებული სპორტსმენებისათვის სპონსორების მოძიება და მათთვის მაქსიმალური ხელშეწყობა.
ლ) ახალგაზრდობის პოზიტიური განვითარების მხარდაჭერა - პროცესი, რომელიც გულისხმობს იმ საჭიროებების შესწავლას, რაც დაკავშირებულია ახალგაზრდობის შემეცნებით, სოციალურ, ფიზიკურ, ემოციურ და მორალურ ზრდასთან. პროცესი, რომელიც ეხმარება ახალგაზრდას საკუთარი შესაძლებლობების და უნარების განვითარებასა და რეალიზაციაში.

მ) უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს, რომ ახალგაზრდები ორიენტირებულები იყვნენ საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებაზე, აცნობიერებდნენ, რომ ახალგაზრდული ასაკი საუკეთესო პერიოდია საკუთარი პროფესიისა, თუ სხვა დამატებითი უნარ-ჩვევების მისაღებად, გააჩნდეთ შესაბამისი სურვილი და მოტივაცია დამოუკიდებლად იზრუნონ საკუთარ განვითარებაზე;

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის ორგანიზაციულ - სტრუქტურულ რგოლს, რომელსაც ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი

ცენტრის უფროსი :
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას;
ბ) წარმოადგენს ცენტრს დაკისრებულ უფლება-მოვალეობის განხოციელებისას და პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;
გ) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის თანამშრომლებს შორის თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, აძლევს მითითებებსა და დავალებებს;
დ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა დავალებებს;

3. ცენტრის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი. ცენტრის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობებს ასრულებს სპორტის განყოფილების უფროსი;
4. ცენტრის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობებია: ცენტრის უფროსი, სპორტის განყოფილების უფროსი, კულტურის განყოფილების უფროსი, სპეციალისტი. ცენტრის თანამშრომლებს თანამდებობებზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, ცენტრის უფროსის წარდგინებით.
5. ცენტრი კოორდინაციას უწევს შემოქმედებითი და სპორტული გუნდებისა და კლუბების საქმიანობას.
6. სპორტული გუნდების, კლუბების, მუსიკალური ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების საქმიანობის დაფინანსება ხორციელდება ააიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან (მუხლებიდან) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7. სპორტული გუნდების, კლუბების, მუსიკალური ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების წევრებთან/შემადგენლობასთან შესაბამისი კონტრაქტების გაფორმების უზრუნველყოფას ახდენს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, უნივერსიტეტის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის წერილობითი წარდგინების საფუძველზე.
8. ცენტრის შემადგენლობაშია უნივერსიტეტის fablab-atsu (სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია),რომლის მიზანია იდეების გენერირება, გამოგონებებისა და საგანმანათლებლო პლატფორმის შექმნა, რომელიც წაახალისებს საქართველოში ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესს.

მუხლი 4. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება დადგენილი წესით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი
დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება დადგენილი წესით.